ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №872054

ნომერი: AR1154964

თარიღი : 16.08.2013

გაცემის თარიღი : 29.08.2013

გაცნობის თარიღი : 30.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ქარხანა "მიონისა" და ახალ ხიდს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ბაჩიაშვილი პ/ნ 01011026112
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 157 ბ. 49

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული I კლასის ღობის რეკონსტრუქცია და ასევე ახალი ღობის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი –დიდუბე, დიღმის მასივი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ქარხანა "მიონისა" და ახალ ხიდ შორის, შ.პ.ს. "სპეცტექნიკა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.13.02.002.014), არსებული I კლასის ღობის რეკონსტრუქცია და ასევე ახალი ღობის მშენებლობაზე წერილობითი თანხმობის გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "სპეცტექნიკა"–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.13.02.002.014, ასევე წარმოდგენილი ფოტომონტაჟები) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი –დიდუბე, დიღმის მასივი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ქარხანა "მიონისა" და ახალ ხიდ შორის, შ.პ.ს. "სპეცტექნიკა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი N 01.13.02.002.014), არსებული I კლასის ღობის რეკონსტრუქცია და ასევე ახალი ღობის მშენებლობაზე წერილობითი თანხმობის გაცემის შესაძლებლობას.

ღობე განთავსდეს საკადასტრო საზღვრებში (N 01.13.02.002.014).

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.